

პროექტის Food Wave მოწოდება ძირეული ინიციატივების მხარდასაჭერად: სურსათის მდგრადი მოხმარება და წარმოება

მოწოდება ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის ან ასოციაციისთვის, სურსათის მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველყოფად ახალგაზრდების მონაწილეობით

რა არის მოწოდების მთავარი მიზანი?

პროექტი [Food Wave](#) - თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ განვითარების, განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამის (DEAR) ფარგლებში. პროექტს მხარს უჭერს [მილანის მუნიციპალიტეტი ActionAid Italia](#) -თან, [ACRA](#) - სთან, [Mani Tese Onlus](#)-თან ერთად. პროექტს ჰყავს 25 პარტნიორი 16 ქვეყანიდან, მათ შორის ALDA . პროექტი ხელს შეუწყობს ძირეულ ინიციატივებს სურსათის მდგრადი მოხმარებისა და წარმოების უზრუნველსაყოფად და ჩართავს მცირე ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ თემით, მაგრამ არ გააჩნიათ ამისათვის საჭირო რესურსები.

პროექტის [Food Wave](#) პირველი მოწოდება მიმართული იყო ახალგაზრდების მონაწილეობით მცირე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ საკვების მდგრად წარმოებას კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად, ხოლო მეორე მოწოდება მიმართული იყო ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისთვის. ახლა დროა მესამე მოწოდება მიმართოს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ასევე ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ან ასოციაციებს, რათა მხარი დაუჭირონ ძირეულ ინიციატივებს, საკვების მოხმარებისა და წარმოების მდგრად გზებს კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის!

არ გამოტოვოთ მონაწილეობის შანსი, დაფინანსდება მინიმუმ 5 პროექტი!

რა არის მოწოდების მთავარი მიზანი?

პროექტი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან ასოციაციების პარტნიორობით შემუშავებულ ქმედებებს, რომლებიც ეხება საკვების მდგრადი მოხმარებისა და წარმოების თემას და მიზნად ისახავს ახალგაზრდების (15-35 წლის) ჩართულობას.

ნებისმიერი წარმოდგენილი წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი მაქსიმუმ 15.000 ევროს თანადაფინანსების ფარგლებში. თითოეული განმცხადებელი ისარგებლებს 75%-იანი დაფინანსებით, მაქსიმუმ 11,250,00 ევრომდე. ნებისმიერი წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა მოიცავდეს მაქსიმუმ 15.000 ევროს (დაფინანსება მაქსიმუმ 11.250,00 € ევრომდე) და მინიმუმ 9.600 ევროს (მაქსიმუმ 7.200,00 € ევროს დაფინანსება) თანადაფინანსების სახით.

დარჩენილ 25%-ს თითოეული განმცხადებელი უზრუნველყოფს თანადაფინანსების სახით. დაფინანსებისა და თანადაფინანსების % ყოველთვის იგივე რჩება მაშინაც კი, თუ შემოთავაზებული აქტივობების საერთო ღირებულება 15.000 ევროზე დაბალია.

შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ტიპის აქტივობები: აქტივობები სკოლებთან, ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრები, ტრენინგი, ინიციატივები საკვების ნარჩენების წინააღმდეგ და ა.შ.

განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება 2023 წლის 16 ივნისამდე პროექტის განხორციელების დრო და არეალი!

განხორციელების ეტაპი მოიცავს პერიოდს 2023 წლის 1 ივლისიდან 2023 წლის 30 ოქტომბრამდე. აქტივობები უნდა ჩატარდეს ჩამოთვლილთაგან ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში: ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, საფრანგეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი.

ვის შეიძლება მონაწილეობის მიღება?

საპროექტო წინადადებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მინიმუმ 2 ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან ასოციაციების პარტნიორობით, რომლებიც ერთად განახორციელებენ პროექტს.

როგორ შეიძლება მონაწილეობის მიღება?

იმისათვის, რომ გქონდეთ ყველა ინფორმაცია მოწოდების შესახებ იხ. დოკუმენტი მითითებულ [ბმულზე!](#)

განაცხადების მიღება შესაძლებელი იქნება 13 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით.

შემოსული განაცხადების განხილვა გაიმართება 16 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით შესაბამისი კომისიის მიერ.

განაცხადის გამოგზავნა შეგიძლიათ მითითებული [ბმულის](#) მეშვეობით.

განმცხადებლები მიიღებენ მხარდაჭერას Food Wave-ის გუნდის მიერ პროექტების წერის პროცესში. ნებისმიერი კითხვა, რაც გაგიჩნდებათ საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით გამოგზავნეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: : catchthewave@alda-europe.eu

თვალი ადევნეთ Food Wave-ის [Facebook](#) და [Instagram](#) გვერდებს ახალი ინფორმაციისთვის!

#გამოიყენე შანსი და მოახდინე ცვლილება!

[ინფორმაცია მოწოდების შესახებ](#)

[დანართი II- თანამშრომლობისა და ურთიერთაღიარების დეკლარაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი](#)